



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

არჩიბული ენა

არჩიბული ენა, არჩიული ენა, არჭიული ენა, იბერიულ-კავკასიური ენების დაღ. ჯგუფის ენა. ა. ე-ზე ლაპარაკობენ დაღესტანში, ჭარადის რ-ნის სოფ. არჩიებში. ა. ე ისტორიულად ლეზგიური ქვეჯგუფის ენაა, მოქცეულია ხუნძური და ლაკური ენების გავრცელების არეალში. საუკუნეთა მანძილზე მონათესავე ენების გავლენით დიდი ცვლილებები განიცადა; თანამედროვე ა. ე-ს გარდამავალი ადგილი უჭირავს ლეზგიური და ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ქვეჯგუფის ენებს შორის. ხუნძური და ლაკური ენის ინტენს. გემოქმედებას ა. ე დღესაც განიცდის. შეინიშნება აგრეთვე დარგულ ენასთან მისი ოდინდელი ურთიერთობის კვალი. ა. ე მდიდარია თანხმოვნებით. მისთვის ნიშანდობლივია პრერუპტივებისა და უკანაენისმიერი ლატერალური თანხმოვნების არსებობა; პრერუპტივებით ა. ე ლეზგიურ და ლაკურ-დარგულ ენებს უახლოვდება, ლატერალური თანხმოვნებით – ხუნძურსა და ანდიურ-დიდოურს. ლეზგიურ ენებთან (ხინალუღური, თაბასრანული...) მას აკავშირებს აგრეთვე სიტყვის თავში თანხმოვანთა თავმოყრის ერთგვარი ტენდენცია. ა. ე განარჩევს ოთხ გრამატ. კლასს. დადასტურებულია ოთხი ძირითადი და ოცამდე ადგილობრივი ბრუნვა. ძირითადი ბრუნვის ფორმებით ა. ე უმთავრესად ლეზგიური ქვეჯგუფის ენებს მისდევს, ხოლო ადგილობრივ ბრუნვებსა და მის ფორმანტებში შეიმჩნევა ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა გავლენა. თვლის სისტემა ათობითია. რიცხვითი სახელების ერთი ნაწილი ლეზგიურ ენებს მიჰყვება, მეორე – ხუნძურსა და დიდოურს. ასეთივე მდგომარეობაა ნაცვალსახელებშიც. უღვლილება კლასოვანია, თუმცა შეინიშნება პიროვანი უღვლილების ჩანასახიც. წინადადებაში მსაბღვრელი წინ უძღვის საბღვრულს. ა. ე უმწერლობო ენაა. სამწერლობო ენად იყენებენ ხუნძურს ან ლაკურს.

ლიტ.: კ ა ხ ა ძ ე თ., ლატერალური თანხმოვნები არჩიბულში, «იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება», 1958, ტ. 9 - 10; მ ი ს ი ვ ე , გრამატიკული კლასების შესახებ არჩიბულ ენაში, «საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე», 1967, ტ. 45, № 3; მ ი ს ი ვ ე , პრერუპტივების შესახებ არჩიბულში, «მაცნე», 1969, № 4; მ ი ს ი ვ ე , არჩიბული ენა და მისი ადგილი დალესტნის მონათესავე ენათა შორის, თბ., 1979; მ ი ს ი ვ ე , გრამატიკული კლასები ლეზგიურ ენებში, თბ., 1984; ჩ ი ქ თ ბ ა ვ ა ა., იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965; მ ი ს ი ვ ე , იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წგ. 2 - ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937; ი გ ი ვ ე , თბ., 1992 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 10; Д и р р А., Арчинский язык, «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа», 1908, в. 39; К и б р и к А. Е., К о д з а с о в С. В., О л о в я н и к о в а И. П., С а м е д о в Д. С., Опыт структурного описания арчинского языка, т. 1 - 3, М., 1977; М и к а и л о в К. Ш., Арчинский язык, Махачкала, 1967; Х а й д а к о в С. М., Арчинский язык, წგ.: Языки народов СССР, т. 4, М., 1967; Т r u b e t z k o y N., Die Konsonanten-Syteme der ostkaukasischen Sprachen, «Caucasica», 1931, fasc. 8.

თ. კახაძე
